

აქტიუნი

კავშირის სექტორი

4(56)2012

სუბანიკში ვულომევა
შობი-სხე რე!



სარედაქციო ჯგუფი
EDITORIAL STAFF
 რევაზ იუკურიძე /რედაქტორი/
 REVAZ IUKURIDZE /EDITOR/
 ქეთევან ჩიქვილაძე
 KETEVAN CHIKVILADZE
 ეკატერინე თხილავა
 EKATERINE TKHILAVA
 ეკატერინე ჯანჯავა
 EKATERINE JANJGAVA
 სიუზან ჩანონი
 SUSANNE CHANNON

დიზაინერი
DESIGNER
 ირაკლი ჩხაიძე
 IRAKLI CHKHAIDZE

სამარბანეზაციო ჯგუფი
LOGISTICS GROUP
 ეკატერინე კეთილაძე
 EKATERINE KETILADZE
 ელენე სეხნიანიშვილი
 ELENE SEKHNIASHVILI
 გიორგი ბაბალაშვილი
 GEORGE BABALASHVILI
 ნინო შიოშვილი
 NINO SHIOSHVILI
 დავით ფავლენიშვილი
 DAVID PAVLENISHVILI
 ნანუკა კიკნაძე
 NANUKA KIKNADZE
 ლალი ანთელავა
 LALI ANTELAVA
 გიორგი გელაშვილი
 GEORGE GELASHVILI



დამფუძნებელი
FOUNDER
 მანანა შევარდნაძე
 MANANA SHEVARDNADZE

info@neostudio.ge

გამომცემის კვარტალური ერთხელ **ISSUED QUARTERLY**

გასაყიდად არ ვრეკელდება
NOT FOR SALE
 Printed in Bilnet Printing,
 Dudullu Organize Sanayi Bölgesi 1.
 Cadde No: 16 Ümraniye, 34696 Istanbul - TURKIYE

ბირაჟი **CIRCULATION - 125 000**

მურალში განთავსებული
 მასალების გამოყენება
 შეიძლება მხოლოდ ნეოსტუდიის თანხმობით

The materials published in the magazine
 cannot be used without
 the authorization of Neostudio

სარჩევი // CONTENTS

4 სფერო რომელიც ყოველთვის მიზიდავს
I SIMPLY ENJOY THE TELECOMS SPACE

8 მომავლის მხატვარი
THE ARTIST OF THE FUTURE

18 მაგთიკომის სტიპენდია საქართველოს
 ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს
**MAGTICOM SCHOLARSHIP FOR STUDENTS
 OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

22 სიფრული თანამგზავრული
 ტელევიზიის უპირატესობები
ADVANTAGES OF DIGITAL SATELLITE TV

31 ჩემი კუშირებია ჩაპლინი და სტურუა
**MY IDOLS IN ART ARE
 CHAPLIN AND STURUA**

40 ელისო ვირსალაძე
ELISO VIRSALADZE

44 მაგთიკომის ვიდეოკონკურსის
 გამარჯვებულები
MAGTICOM'S VIDEO CONTEST WINNERS

46 მგრძნობიარე სამკაული
SENSUAL ADORNMENT

50 შუშის ვაშლები
GLASS APPLES

ქპირფასო მეგობრებო!

2012 წელი მაგთიკომისთვის და საქართველოსთვის განსაკუთრებული იყო.

15 წლის წინ, 1997 წლის 22 სექტემბერს, მაგთიკომის ქსელში პირველი მომხმარებელი დარეგისტრირდა და მაგთი GSM-მა ფუნქციონირება დაიწყო...

დღეს ჩვენ 2 000 000-ზე მეტ აბონენტს ვემსახურებით. კომპანიის სახელით მადლობას ვუხვდით თითოეულ მათგანს. ამ 15 წლის განმავლობაში ისინი ყოველთვის ჩვენ გვერდით იდგნენ და გვეხმარებოდნენ საქართველოს საუკეთესო სატელეკომუნიკაციო ქსელის მშენებლობაში.

2012 წელს მაგთიკომის ცხოვრებაში უამრავი საინტერესო მოვლენა მოხდა.

დღეს ჩვენს აბონენტებს ინფორმაცია და გართობა კომუნიკაციაზე ნაკლებ როდი სჭირდებათ! ამიტომ, 2012 წლის დასაწყისში, ექსპლუატაციაში გავუშვეთ მაგთისატი – საქართველოში პირველი კომერციული თანამგზავრული სატელევიზიო მომსახურება. მიუხედავად სხვადასხვა დაბრკოლებისა, მაგთისატის ქსელში 30 000-ზე მეტი მომხმარებელი ჩაერთო და მაგთიკომის ახალი ბრენდი, მაგთისატი, საქართველოს სატელევიზიო ბაზარზე მნიშვნელოვან მოთამაშედ დამკვიდრდა.

დღეს მაგთიკომი უკვე მიეკუთვნება მსოფლიო კლასის კომპანიათა იმ უმაღლეს ლიგას, სადაც მომხმარებელს მობილურ, ფიქსირებულ, ინტერნეტ და სატელევიზიო, ანუ ოთხმაგ მომსახურებას სთავაზობენ.

2012 წელს მაგთიკომმა კომპანია Samsung-თან სტრატეგიული თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებშიც სრულიად ახალი ტიპის, დასავლურ მოდელზე აწყობილი საკონტრაქტო სისტემა დაწერა.

წელს მაგთიკომმა საქართველოს სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაშიც შეიტანა წვლილი. მისი დაფინანსებით და პატრონაჟით განხორციელდა უამრავი პროექტი – დიდ

საკონცერტო დარბაზში მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა „ქართული ხელოვნების საღამოები“; გამოიცა ცნობილი ქართველი მხატვრების: ჯიბსონ ხუნდაძის, ოთარ ჩხარტიშვილის, თემო გოცაძის ნამუშევრების ალბომები; საქართველოს ისტორიის ოთხტომეული; გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმთან ერთად გამოიცა მიხაილ ლაკერბაის „ალამისი“, თედო სახოკიას „ციმბირში“, გრიგოლ რობაქიძის ხუთტომეული, მიხეილ ჯავახიშვილის საგამოძიებო საქმე, რევაზ თაბუკაშვილის კრებული და სხვ.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალი 2013 წელი წარმატების და აღმავლობის წელი იქნება როგორც მაგთიკომისთვის, ისე მთელი საქართველოსთვის. მაგთიკომი კი თავის მხრივ გპირდებით უამრავ სიახლეს, რომელიც თქვენს ცხოვრებას კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს და საინტერესოს გახდის.

მეამაყება, რომ მაგთიკომის გუნდის წევრი ვარ. ჩვენ კვლავაც დიდ ინვესტიციებს განვახორციელებთ ინტერნეტის ინფრასტრუქტურაში და საქართველოში იმ უსაზღვრო შესაძლებლობებს განვაფიქრებთ, რომლებსაც ეს ტექნოლოგია გვთავაზობს.

ჩვენ დაულალავად ვითანამშრომლებთ ჩვენს 2 000 000-ზე მეტ აბონენტთან, რათა მომავალ წელს საქართველო კიდევ უფრო უკეთესი ქვეყანა გახდეს.

ჩვენს მკითხველს და მაგთიკომის ყველა მომხმარებელს ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხვდით ერთგულებისთვის. გპირდებით, მაგთიკომი ძალისხმევას არ დაიშურებს და მომავალ 2013 წელსაც, ტრადიციულად, საუკეთესო ხარისხით მოემსახურებათ.

მაგთიკომის პრეზიდენტი
დავიდ ლი



MY DEAR FRIENDS,

2012 was an exciting milestone in MagtiCom's history and in Georgia's history.

Magti GSM began 15 years ago, on 22 September 1997, when we welcomed our first customer. Since then MagtiCom has been providing clear, nationwide communications for all its customers. We now serve over 2,000,000 customers and I would like to thank each of them for their continued custom which has enabled us to become the foremost telecommunications network in Georgia.

2012 has been marked by numerous significant developments as MagtiCom continues to develop its activities:

Our customers now place the same value on information and entertainment as they do on communications. That is why we pioneered Georgia's first TV satellite platform, our newest brand, MagtiSat. Despite many obstacles and setbacks, MagtiSat now serves over 30,000 homes and is a major player in Georgia's television market.

MagtiCom is now in that exclusive league of world-class communication companies that are able to offer their customers a package of four products: fixed telephony, mobile telephony, internet service and television.

This year MagtiCom also entered into a Strategic Cooperation Memorandum with Samsung, allowing the company to bring in an absolutely new contract system based on the model used in the West.

During 2012, MagtiCom made a tremendous contribution to Georgia's social and cultural life. The Company was the main sponsor of many major projects supporting Georgian arts. Throughout the year we supported the Georgian Art evenings hosted in Tbilisi Concert Hall and published catalogues of works

by the outstanding Georgian artists Jibson Khundadze, Otar Chkhartishvili and Temo Gotsadze. In conjunction with the Giorgi Leonidze State Museum of Georgia, MagtiCom published "Alamis" by Mikhail Lakerbaia, "In Siberia" by Tedo Sakhokia, five volumes of works by Grigol Robakidze, works concerning Mikheil Javakhishvili, collections by Revaz Tabukashvili and four volumes of Georgian history.

I am confident that the New 2013 Year will be marked by further advances and onward progress for both Georgia and MagtiCom. Our customers can anticipate many more innovations from MagtiCom which will make life more exciting and interesting for us all.

I am proud to be a member of MagtiCom's team as we continue to invest in Georgia's infrastructure to enable all Georgians to enjoy the limitless possibilities offered by the internet and new technology wherever they live. We will continue to work in partnership with our customers to make Georgia a better place to live and work.

On behalf of MagtiCom, I congratulate our readers and customers on the New Year and thank them for their loyalty. As in previous years, we will continue to offer you outstanding quality in all our services during 2013 and on into the future.

President of MagtiCom

DAVID LEE

სწავრო რობედის ყოველთვის მიზიდავს

მთავაზოპტი ინტერვიუს
მაგტიკომის გენერალურ
დირექტორთან, ბატონ
ლარს პეტერ რაიშელტთან

- ბატონო რაიშელტ, სად მსახურობდით საქართველოში ჩამობრძანებამდე, რას გვეტყვი თქვენი სამუშაო გამოცდილების შესახებ?

- მაგტიკომის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშნვამდე სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიცია მეკავა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის სატელეკომუნიკაციო კომპანიაში. კერძოდ: სამხრეთ აფრიკაში, იოჰანესბურგში, კომპანია Cell C-ის გენერალური დირექტორი გახლდით; საუდის არაბეთში, ელ-რიადში - მობილური კომპანია Zain-ის გენერალური დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი კომუნიკაციების დარგში;



GIVEN BELOW IS AN
INTERVIEW WITH
MAGTICOM'S
DIRECTOR GENERAL
LARS P. REICHEL

I simply enjoy the telecoms space

- Mr. Reichelt, what can you tell us of your work experience before arriving in Georgia?

- Prior to joining MagtiCom and assuming the CEO's position, I have held several positions as CEO of Cell C in Johannesburg, South Africa, interim CCO of Zain in Riyadh, Saudi Arabia,

CEO of Banglalink in Dhaka, Bangladesh, CEO of Telefonica 3G Mobile in Zurich, Switzerland, Head of Wireless for Yahoo! Europe in London, UK, COO and Managing Director of mobile operator ONE in Vienna, Austria and many others. I simply enjoy the telecoms space. Always forward, never dull.

- Why have you agreed to take this position and what made you come to Georgia?

- Georgia is a very competitive, technically very advanced and, quite frankly, exciting market. From that perspective it compares well to evolved markets in the rest of the world. Add

ბანგლადეშში, დაკაში – კომპანია **Banglalink**-ის გენერალური დირექტორი; შვეიცარიაში, ციურიხში – კომპანია **Telefonica 3G Mobile**-ის გენერალური დირექტორი; ასევე მიმუშავია ლონდონში – კომპანია **Yahoo!**-ს უსადენო კავშირგაბმულობის ტექნოლოგიათა ევროპის განყოფილების ხელმძღვანელად; ვენაში – ავსტრიის მობილური ოპერატორის, **ONE**-ის გენერალური დირექტორის მოადგილედ კომუნიკაციების დარგში, ამავე კომპანიის მმართველ დირექტორად და ა.შ. ტელეკომუნიკაციების სფერო ყოველთვის მიზიდავდა, ის მუდამ ვითარდება და შენც არ გაძლევს მოდუნების საშუალებას.

– რატომ დათანხმდით მაგთიკომის გენერალური დირექტორის თანამდებობას და რამ გადაგანწყვეტინათ საქართველოში ჩამოსვლა?

– საქართველოში ტელეკომუნიკაციები ტექნიკურად კარგად განვითარებული, კონკურენტუნარიანი და, გულახდილად რომ ვთქვა, საინტერესო და მიმზიდველია. ამ გადასახედიდან, ის მსოფლიოს სხვა განვითარებულ ბაზრებს უთანაბრდება. ამას საქართველოში მაგთიკომის, როგორც წამყვანი მოთამაშის პოზიციაც დაე-

მატა – ის დღეს მომხმარებელს მობილურ და ფიქსირებულ სატელეფონო ქსელს, მონაცემთა გადაცემის (ინტერნეტი) მომსახურებებს და თანამგზავრულ ტელევიზიას სთავაზობს.

ჩამოსვლამდე საქართველოს კარგად არ ვიცნობდი. შემიძლია სიხარულით აღვნიშნო, რომ ქართველები ძალიან გახსნილი, ენერგიული, პროგრესზე ორიენტირებული ხალხია. მათთან ურთიერთობა მსიამოვნებს. გარდა ამისა, აღმოვაჩინე არაჩვეულებრივი ქვეყანა, წარმოუდგენელი პეიზაჟებით. ზოგიერთი ადგილი სამხრეთ აფრიკას მაგონებს, ზოგი – შვეიცარიას, ზოგი კი 100%-ით ქართულია. ასე რომ, აქ თავს კარგად ვგრძნობ პროფესიული თვალსაზრისითაც და შინაგანადაც.

– რას გვეტყვით კომპანია მაგთიკომზე და როგორია მისი განვითარების პერსპექტივა?

– მაგთიკომს ტელეკომუნიკაციაში ძალიან მნიშვნელოვანი ტექნიკური ბაზა და საუკეთესო, ფართე ქსელი აქვს. ის სტაბილურად მიიწევს წინ. ამის მაგალითია მაგთისატი – ჩვენი თანამგზავრული სატელევიზიო მაუნყებლობა, რომელიც მომხმარებლებს ნელს შევთავაზებთ.

მაგთიკომისთვის მთავარი აბონენტების მოთხოვნები და სურვილებია. ვცდილობთ განვსაზღვროთ, თუ რომელი სერვისები არ არის ჩვენს ბაზარზე, დავენეროთ ისინი და შევთავაზოთ მომხმარებლებს. და რაც ძალიან მნიშვნელოვანია – ვმუშაობთ არსებული მომსახურებების გაუმჯობესებაზე.

მომავალში გვსურს მონაცემთა გადაცემის მომსახურებები განვავითაროთ. ეს საშუალებას მოგვცემს მაგთიკომის ქსელზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გავზარდოთ. მსოფლიოში სმარტფონებზე (**Android**, **Apple** და სხვ.) მოთხოვნის სწრაფი ზრდის ტენდენცია და მათზე ფასები ძალიან სწრაფად ეცემა. ეს პროცესი საქართველოში მათ პოპულარობას გამოიწვევს. დღეს შესაძლებელია ანდროიდზე დაფუძნებული სმარტფონები და პლანშეტები 100 დოლარად ან უფრო იაფად შევიძინოთ. ეს ფასი თანდათან კიდევ უფრო დაინეწვს, რაც იმის საფუძველს შექმნის, რომ მომავალი 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სმარტფონები ექნებათ, სმარტფონებს კი „სმარტ“ ქსელი სჭირდება. აი, ამაზე მუშაობს მაგთიკომი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაგთიკომს სურს იყოს საქართველოში

to this the position of MagtiCom as the leading player in the market offering fixed line, mobile, data and satellite television and you can see the attraction.

I did not quite know what to expect of the country Georgia before arriving and I can say with joy that I have found Georgians to be very open, lively and forward looking people. I enjoy their company. I have also found a wonderful country with incredible landscapes – some parts remind me of South Africa, others look like Switzerland and some are 100% Georgian. So I not only feel good on a professional level, but on a personal level. It is good to be here.

– What can you tell us of MagtiCom and what is your view of the development strategy of the company?

– MagtiCom has a very sound technical

platform, an excellent and wide network and is moving with poise beyond pure telecoms with the launch of MagtiSat, our television offer launched this year.

MagtiCom is focusing more and more on our customers, their needs and desires. We try to identify which services are not yet in the market and may be well received and - very importantly - we are working to improve our existing services.

The area of growth going forward will be data services and we can see how the traffic on MagtiCom's network is growing very rapidly. The global trend towards smartphones (Android, Apple and others) is unstoppable and accelerating and the very rapid price declines will drive adoption in Georgia as well. We can today see Android powered smartphones for less than USD 100 and tablets for about the same price. These prices will come

down even further and almost guarantee that within the next 5 years most Georgians will have smartphones - and smartphones need a smart network! That is what MagtiCom is working on.

In other words, MagtiCom will strive to be the innovation leader in Georgia in terms of technology, in terms of customer focus and in terms of products and services offered to all segments of Georgia.

– What do you think of the Georgian telecommunications market and would you describe the environment as competitive?

– Despite signs of a faltering economy, the mobile market has kept on developing at a rapid pace in the country. MagtiCom operates different brands in mobile, fixed line telephony, wireless internet

ტექნოლოგიური ინოვაციების ლიდერი. ამიტომ ის მომხმარებელზეა ორიენტირებული და მის ყველა სეგმენტს უახლეს პროდუქტებსა და სერვისებს სთავაზობს.

– რას ფიქრობთ ქართულ ტელეკომუნიკაციის ბაზარზე. როგორი კონკურენტული გარემო დაგხვდათ აქ?

– მიუხედავად ქვეყანაში არამდგრადი ეკონომიკის ნიშნებისა, მობილური ტელეკომუნიკაციის ბაზარი სწრაფად განვითარდა განვითარებას. დღეს მაგთიკომს მობილური და ფიქსირებული სატელეფონო, უკაბელო ინტერნეტის და თანამგზავრული ტელევიზიის ბრენდები აქვს. ამ სხვადასხვა სფეროში ჩვენ ბევრი კონკურენტი გვყავს. ვაცნობიერებთ, რომ კონკურენცია ყურადღების მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს და ამ პროცესით მოგებული მომხმარებელი რჩება.

მაგთიკომს სურს საუკეთესო ქართული რესურსების მსოფლიო დონის ტექნოლოგიებსა და იდეებთან შეჯერებით სწრაფი და ადგილობრივი ბაზრისთვის მორგებული გადაწყვეტილებები მიიღოს. დღეს მაგთიკომი საქართველოში ერთადერთი კომპანიაა, რომელიც 2 000 000-ზე მეტ აბონენტს

სთავაზობს მაღალი სტანდარტის მობილურ და ფიქსირებულ სატელეფონო კავშირს, მობილურ ინტერნეტს და თანამგზავრულ ტელევიზიას.

ამგვარად საქართველოში ძალიან კონკურენტული გარემოა, რომელსაც სარგებელი მოაქვს ჩვენი აბონენტებისა და, ზოგადად, ქართველი მომხმარებლისთვის.

– საქველმოქმედო საქმიანობას მაგთიკომი დაარსების პირველივე დღიდან ეწევა. ეს ტრადიცია თუ გაგრძელდება?

– ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ – წლების განმავლობაში მაგთიკომის საქმიანობის ლაიტმოტივია. ისეთ კომპანიას როგორც ჩვენია, სოციალური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ყოველთვის აქვს. ეს სერიოზული როლი ჩვენ თავიდანვე ვიტვირთეთ. წლების განმავლობაში აქტიურად ვახორციელებდით მრავალი პროექტის ფინანსურ უზრუნველყოფას განათლების, ლიტერატურის, თეატრის, სახვითი ხელოვნების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური კეთილდღეობის სფეროებში.

გარდა ამისა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მაგთიკომი პირველი კომპანიაა, რომელმაც დაარსების დღიდან ქვეყნის ეკონომიკაში გადასახადების სახით მილიარდ ლარზე მეტი შეიტანა.

ჩვენ მომავალშიც მივყვებით სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობის განვითარების გზას – მაგთიკომი ქართული საზოგადოების აქტიური ნაწილია.

– როგორ შეგეუთ ქართულ სინამდვილეს...

– ბედმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრებისა და მუშაობის საშუალება მომცა. შემიძლია გითხრათ, რომ ამ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველია. უნდა ვაღიარო, არც ისე დიდი დრო მქონდა ქვეყანაში სამოგზაუროდ, მაგრამ რაც აქამდე ვნახე, ძალიან მომწონს. დიდებული ბუნება, არაჩვეულებრივი სამზარეულო და ღვინო, ძალიან საინტერესო ისტორია და კულტურა და, რაც მთავარია, შესანიშნავი ხალხი – გახსნილი, მომღიმარი, მშრომელი და წინსვლაზე ორიენტირებული.

and satellite TV, so we have a long list of competitors in those different areas. And we have to recognize that they are doing a good job, keeping us on our toes and together with our competitors we have created a vibrant market place for the benefit of Georgian consumers.

MagtiCom strives to mix the best of Georgian resources with world-class technology and ideas and the fact that our decision-making is fast and local. As a result MagtiCom is the sole company in Georgia able to offer to more than 2 000 000 customers high-standard mobile, fixed-lined telephony as well as mobile internet and satellite TV.

So yes, Georgia has a very competitive market environment and it benefits our customers and Georgian consumers in general.

– MagtiCom has been carrying out charity from the very first day of its foundation; will this tradition proceed?

– MagtiCom's slogan: *We are making it for Georgia* has been the leitmotif of the Company's activity throughout the years. A company like ours has a societal or civic responsibility as well and we have taken this very seriously right from the beginning. We have over the years actively provided financial support to numerous projects and events in the field of education, literature, theatre and fine arts, sports, health care and social welfare.

Moreover, MagtiCom is the first company in the history of independent Georgia which has transferred, by way of tax payments alone, over GEL 1 000 000 000 (one billion) into the economy of the country.

We will keep on following and developing along this path of corporate social responsibility – MagtiCom is an active part of Georgian society.

– So how is life in Georgia for you?

– I have had the good fortune to live in many, many countries around the world and I can happily say that Georgia is one of the nicest. I have to admit that I have not had that much time to travel around the country, but what I have seen so far I like very much – great landscapes, excellent food and wine, a very interesting and storied culture and, most importantly, a great bunch of people, who are open, smiling, forward looking and hard working.

საჰმონტო რეჟიმით სისტემა დაბოლოდა!

მაგთი MAGTI



მაგთი
MAGTI



www.magticom.ge



11 00 11; 032 217 00 00
ნებისმიერი ქსელიდან

თქვენი 39 ლარიდან

გელეფონი + ნუთები + SMS + ინტერნეტი



მიონის მიტამოროვოვა. 1967. ტილო, ზეთი. 90X70
METAMORPHOSIS OF LAND. 1967. OIL ON CANVAS. 90X70

მომავლის მხეცვალი

THE ARTIST OF THE FUTURE

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“ – აი, ფაბულა და კოდი იმ ფილოსოფიური ახსნისა, რომელიც საფუძვლად უდევს და ხაზს უსვამს „იყოში“ არსებად სიღვაძს, სოლო „არა იყოში“ კი – უხილავს. იგი მოიცავს ტრანსცენდენტურ ირეალურში შეუხებადის არსებობასაც და მარადიული სიცოცხლის კოდის ახსნასაც...

ჯიბსონ ხუნდაძე,
„ჩემი კონცეფცია“

“THERE WAS SOMETHING AND THERE WAS NOTHING AT ALL, YET COULD THERE BE ANYTHING BETTER THAN GOD?” IS THE PLOT AND THE CODE OF THE PHILOSOPHIC INTERPRETATION SHOWING THE BASIS AND UNDERLINING THE VISIBLE IN THE “THERE WAS” AND THE INVISIBLE IN THE “THERE WAS NOTHING AT ALL”. IT INVOLVES THE EXISTENCE OF THE UNATTAINABLE IN TRANSCENDENTAL UNREALITY AND AN EXPLANATION OF THE CODE FOR ETERNAL LIFE.

JIBSON KHUNDADZE
“MY CONCEPT”



Jibson Khundadze's life path and works bear the distinctive imprint of tremendous political and historical upheavals and brutal changes. Changes, however, are always the source of the greatest inspiration - inspiration that continued to propel the painter all the way to produce paintings, which pour out the rawness of immense energy.

He got the knack for painting from his father, Khariton Khundadze, who was himself a painter. From his mother, Elisabed Vashakidze, a housewife with a gift for composing poems, he inherited a passion for poetry.

The Georgian modernist artists (Davit Kakabadze, Lado Gudishvili, Elene Akhvediani etc.), who returned from Europe in the 1930s came under intense criticism

ჯიბსონ ხუნდაძის ბიოგრაფიას თვალი რომ გადავავლოთ, მივხვდებით, რამდენი ისტორიულ-პოლიტიკური გარდაქმნა და სირთულე ახლდა მის ცხოვრებასა და შესაბამისად, შემოქმედებას. თუმცა ცვლილებები დიდი ინსპირაციის წყაროა ხოლმე. ძლიერი ინსპირაცია კი ის არის, რაც არასდროს აკლდა მხატვარს იმისთვის, რომ ეხატა – ეხატა უზარმაზარი ენერჯის ნაწარმოებები.

ხატვის სურვილი მამამ, ხარიტონ ხუნდაძემ გაუღვივა, რომელიც თავადაც კარგად ხატავდა, პოეზიისადმი სიყვარული კი დედამ – ელისაბედ ვაშაკიძემ, რომელიც დიასახლისობის გარდა ლექსებსაც წერდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობდა ევროპიდან დაბრუნებული ქართველი მოდერნისტების – დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის ხედვების და იდეების შევიწროება. სწორედ ამ დროს დაემთხვა ჯიბსონ ხუნდაძის ბავშვობა და მოწაფეობის წლები.

სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა სამხატვრო აკადემიაში განაგრძო. აქ მას რადიკალურად განსხვავებული ხელნერისა თუ სულისკვეთების მქონე მხატვრები ასწავლიდნენ – მოსე თოიძე, იოსებ გაბაშვილი, ვასილ შუხავეი, სერგო ქობულაძე, ვალენტინ შერპილოვი. განსაკუთრებული სიყვარულით ჯიბსონ



ბალერინები. 1945. ტილო, ზეთი. 61X51
 BALLET DANCERS. 1945. OIL ON CANVAS. 61X51



„კირიონი“, კირხეს კუთხე. 1945. ტილო, ზეთი. 35X42
CORNER OF KIRCHE SQUARE IN TBILISI. 1945. OIL ON CANVAS. 35X42

and ferocious persecution. Jibson Khundadze's childhood and school years coincided with this turbulent period.

On graduating from art school, he proceeded to the Academy of Art where he was taught by artists with radically different brushwork and aesthetics - Mose Toidze, Ioseb Gabashvili, Vasil Shukhaev, Sergo Kobuladze and Valentin Sherpilov. The latter holds a special place in Jibson Khundadze's heart.

His career as a painter and the formation of his character continued under the Soviet regime's growing ideological pressures. However, his life became a powerful symbol of defiance...


Jibson Khundadze: "I was a first-year student then. One day I happened to stay at the Academy to paint until late at night. Quite by chance, I found myself at an artists' meeting where "red professors", to put it mildly, censured Davit Kakabadze and Lado Gudishvili.

ხუნდაძე სწორედ ვალენტინ შერპილოვს იხსენებს.

პიროვნებად და მხატვრად ჩამოყალიბება ჯიბსონ ხუნდაძემ საბჭოთა რეჟიმის მწვავე და ძლიერი იდეოლოგიური წნეხის დროს დაიწყო, თუმცა ის თავისი თაობისთვის დაუმორჩილებლობის სიმბოლო გახდა...

ჯიბსონ ხუნდაძე: „მასხოვს, აკადემიის პირველ კურსზე ვსწავლობდი. სასწავლებელში გვიანობამდე ვხატავდი და შემთხვევით მხატვართა შეკრებაზე აღმოვჩნდი, რომელზეც „წითელი პროფესურა“ დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას, რბილად რომ ვთქვა, აკრიტიკებდნენ. გამომსვლელებს ყურადღებით ვუსმენდი და როცა ერთმა „წითელმა აკადემიკოსმა“ კაკაბაძე და გუდიაშვილი არაეროვნულ მხატვრებად, ეპიგონებად მოიხსენია, ველარ მოვითმინე და მხატვრებთან და სტუდენტებთან გადავსებულ დარბაზში გამომსვლელს სიტყვა შევანწყვეტინე – დიდი ქართველი მხატვრები დავიცავი. დარბაზი გაისუსა. ჩემ მასწავლებელს, ვალენტინ შერპილოვს, ფრაზა – ჯიბსონ გაჩუმდი – შუაში გაუნყდა და კათედრიდან „წითელი აკადემიკოსის“ მრისხანე ხმა – ვინ არის ეს ლლაპი?! – გაისმა... მეორე დღეს ჩემ პედაგოგ შერპილოვს და მე სამხატვრო აკადემია ერთად დაგვატოვებინეს“...

გარკვეული დროის შემდეგ აკადემიაში აღადგინეს. თანაკურსელმა, სომეხმა მხატვარმა ვალიკ ხორენიანმა უშველა. ურჩია – ჯიბსონ, შენ ფრანგულად და იტალიურად წერ, „პერედვიჟნიკი“ ვერასდროს გახდები და ამიტომ ვიეშმაკოთ, აკადემიაში ჩემი ეტიუდები მიიტანე... ასე „იეშმაკეს“.



ცისანას პორტრეტი. 1958. ტილო, ზეთი. 90X70
PORTRAIT OF TSISANA. 1958. OIL ON CANVAS. 90X70



საკარცხული. 1960-95. ტილო, ზეთი. 117X100
CHAIR. 1960-95. OIL ON CANVAS. 117X100



რაჭა, სოფელი ხეითი. 1960. ტილო, ზეთი. 80X78
RACHA, KHEITI VILLAGE. 1960. OIL ON CANVAS. 80X78

აკადემიის დამთავრების შემდეგ დაუმორჩილებელ შემოქმედს ოფიციალური არ სწელობდა. მისი თაობის ბევრი მხატვარი პროფესორის სავარძელში იჯდა, ის კი, რიგითი პედაგოგი, სამხატვრო სკოლაში ასწავლიდა, და თან, დამატებით, სხვადასხვა ქარხანა-ფაბრიკაში ოქროს ჩარჩოებით მოვარაყებულ საპატიო დაფებს აფორმებდა...

დღეს, როდესაც მეოცე საუკუნის ქართული ხელოვნების მიმოხილვის

სურვილი გვიჩნდება, ოციანი წლების მოდერნიზმის შემდეგ, ყველაზე დიდი ენთუზიაზმით „გათავისუფლებული“ მხატვრების თაობებს, სამოციანელებსა და სამოცდაათანელებს ვიხსენებთ. მოდუნებული სისტემის ფონზე მათ საშუალება მიეცათ ბევრად უფრო თამამნი და დასავლეთიდან შედარებით იოლად შემოსული ინფორმაციისადმი გახსნილი ყოფილიყვნენ. მაგრამ ამ თაობებშიც იყვნენ ინდივიდები,

I was all ears listening to them carefully, and when one of the “red academicians” referred to Kakabadze and Gudishvili as inferior epigones devoid of national sentiments, my patience ran away with me and I spoke out in defence of the distinguished Georgian painters in the hall jam-packed with dozens of artists and students. The audience was struck dumb for a minute. I heard Valentin Sherpilov’s muffled groan: “stop it, Jibson”, immediately followed by the red academician’s roaring growl: “who’s this birdbrain?!”. The next day my teacher

რომლებმაც ის სააზროვნო საფუძველი შექმნეს, რაზეც თანამედროვე ხელოვნებამ გაიდგა ფესვები. მათ შორის ჯიბსონ ხუნდაძე პირველია, ვინც ეტაპობრივად გამოიარა იტალიური კლასიკური სკოლისა და, განსაკუთრებით, XX საუკუნის დასაწყისის ფრანგული სკოლის ყველა ძირითადი ეტაპი და შექმნა აბსოლუტურად ინდივიდუალური, უზარმაზარი ენერჯის მატარებელი კოლორისტული კოსმიური სამყარო, რომლის განსაზღვრება არც ერთ არსებულ მიმართულებას

Sherpilov and I were both expelled from the Academy of Art.

After a period of time he applied for reinstatement to the Academy. His friend from the Academy, Armenian painter Vadik Khorenian, came to his help. "Jibson, you adhere to French and Italian painting standards of content and style. You're never to become a member of the Peredvizhniki. So let's play a trick on them. Take my sketches, instead of yours, to the Academy"... thus, Jibson Khundadze tricked his way into the Academy.

The rebellious painter remained at odds with the authorities all the way after graduation from the Academy. Many artists of his age enjoyed blossoming careers and were elevated to the rank of professor. He, in the meantime, worked as a rank and file teacher at an art school and, in parallel, decorated gold-framed plaques of honour in many plants and factories.

A look back at the Georgian artistic tendencies of the 20th century brings to the fore, along with modernist movements of



დიადი ლაშვილი. 1961. ტილო, ზეთი. 83X90
MAGNIFICENT NIGHT. 1961. OIL ON CANVAS. 83X90

არ ეკუთვნის. მის სახელდებას თავად მხატვარი მომავლის კრიტიკოსებს ანდობს...

ჯიბსონ ხუნდაძის ნამუშევრები თითქოს ჰიპერბოლიზებული კოსმიური პეიზაჟებია. ძნელია ერთი შეხედვით მისტიკური კომპოზიციები კონკრეტულ სივრცესა და ლანდშაფტს მივამსგავსოთ. აქტიური ფერადოვანი ლაქების თითქმის ველური დინამიკა – გარემოს, ლანდშაფტის, სივრცის ცნებების განზოგადებას ემსახურება. ჯიბსონ ხუნდაძის ნამუშევრები ერთდროულად შთამბეჭდავი პანოები, დიდი ფერადოვანი ტილოები და ამავედროულად კონცეპტუალურად დატვირთული არტეხია. მხატვარი კი

the twenties, the “liberated” artists of the sixties and the seventies - artists who, feeling the regime’s hold on them slacken, were encouraged to experiment with bold lines and become more receptive to the ideas that were coming in, already unhindered, from the west. Those were the artists who laid the mental groundwork, on which modern art founds itself. Jibson Khundadze was the first to go through all stages of the Italian school of classical art and, most importantly, the French school of the early 20th century. He created an absolutely unique cosmic world with a highly-charged palette of intense colours, which cannot be linked convincingly to any existing art movement. The artist

himself hopes that critics will possibly fit his paintings into some category in future.

The subject of Jibson Khundadze’s paintings is hyperbolized cosmic landscapes. It is difficult to identify his mystic compositions with any piece of the real scenery or any view of the countryside. He uses a dynamic palette of saturated colours and wild contrasts to create a generalized concept of the environment, of the landscape and of the space. Apart from being visually compelling canvasses, Jibson Khundadze’s works convey conceptually loaded content. The artist gives a philosophical analysis of his own works:

Jibson Khundadze: “It will be enough for a viewer standing in front of my picture to



მთიანეთი. 1968. ტილო, ზეთი. 88X103
IN MOUNTAINS. 1968. OIL ON CANVAS. 88X103



საშახაშვილი. 1985. ტილო, ზეთი. 90X90
IN GORGE. 1985. OIL ON CANVAS. 90X90

საკუთარი ხელოვნების ფილოსოფიურ
საწყისებს ასე გვიხსნის:

„თუ შეძლებს ჩემი სურათის წინ
მდგომი ადამიანი, ოდნავ დაძაბოს გონე-
ბა და ენდოს იმ სურათს, რომელსაც ასე
დიდი სიყვარულითა და თავდადებული
ბრძოლით ვქმნიდი, უთუოდ იგრძნობს,
უთანასწორო ბრძოლაში, თუ როგორ
მეხოცებოდა საღებავები სანგრებში,
როგორ შევდიოდი ცეცხლში ყიჟინით და

make a slight effort and trust the canvas
created with a profound love and a self-
sacrificing struggle to doubtlessly sense,
how my paints were perishing in an
unequal battle in the trenches and how I
burst into the fire again and again to rescue
those doomed to death. He will glance at
the roads and hills instilled in the cracks of
soil, the plots of land treated by the furrow
of human life although abandoned and

deserted, the landscape trailed with his
perspiration and toil and preserved in the
metaphoric idea of the opening formula of
Georgian tales “There was something and
there was nothing at all”.

MagtiCom recently published a cata-
logue of Jibson Khundadze’s works. The
presentation ceremony took place at
the Giorgi Leonidze State Museum of
Georgian Literature, on the sidelines

სიცოცხლეს ვუნარჩუნებდი სიკვდილისათვის განწირულთ. ამ იდუმალებაში გამოკრთება მიწის ნაპრალებში ჩაღვენთილი გზები და ბორცვები, ადამიანის სიცოცხლის კვალით დამუშავებული, მიტოვებული, უკაცრიელი ნაკვეთები, მისი ოფლითა და შრომით კვალდაღარული ლანდშაფტი „იყო და არა იყო რას“ მეტაფორულ აზრში ჩაუნჯებული...“

ახლახან კომპანია მაგთიკომმა ჯიბსონ ხუნდაძის კატალოგი გამოსცა. მისი პრეზენტაცია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, მხატვრის პერსონა-

ლური გამოფენის გახსნისას შედგა. ალბომი საინტერესო გამოცემაა მათთვის, ვისაც ჯიბსონ ხუნდაძის ხელოვნების სრულყოფილად გაცნობა სურს. წინასიტყვაობაში ხელოვნებათმცოდნე სამსონ ლეჟავა წერს: „XX-XXI საუკუნეთა ქართულ ხელოვნებაზე სრულფასოვანი წარმოდგენა ვერ შეგვექმნება, თუკი არ გავეცნობით შესანიშნავი მხატვრის, კოლორისტიკის დიდოსტატის, საკუთარი და ფრიად ორიგინალური ფერწერული სისტემის ჩამომყალიბებელის – ჯიბსონ ხუნდაძის შემოქმედებას“.

ჯიბსონ ხუნდაძე არ არის ის მხატვა-

of the artist's personal exhibition. The catalogue is a valuable edition for anyone who is keen to gain valuable insights into Jibson Khundadze's art. Art critic Samson Lezhava writes in his prologue of the catalogue: "We would be unable to properly understand Georgian art of the 20th and the 21st centuries unless we get acquainted with the painting of Jibson Khundadze – a remarkable artist, a great colourist and a man who established his own, utterly original painting system".

Jibson Khundadze is not a widely exhibited painter. He remains as elusive



რიჭრაში მთებში. 1994-95. ტილო, ზეთი. 180X201
DAYBREAK IN MOUNTAINS. 1994-95. OIL ON CANVAS. 180X201



ქარჩოხის ბაღასახვევი. 1996. ტილო, ზეთი. 116X116
KARCHOKHI TURN. 1996. OIL ON CANVAS. 116X116

as ever, and his studio too is largely inaccessible to the public. However, his paintings hang in various private collections both in Georgia and abroad, including in the Georgian National Museum. The time will come, maybe, when art-viewing space will be set up in Tbilisi to promote contemporary Georgian artists, and Jibson Khundadze's artwork will take centre stage there.

SOPO KILASONIA
GIO ALEKSISHVILI

რი, რომელსაც ხშირად ვხედავთ საგამოფენო დარბაზებსა და ჯგუფურ გამოფენებზე. ამ თავლასაზრისით ის ძალიან რთულად მისაღწევი ავტორია. რთულია აღმოჩნდე მის სახელოსნოშიც. თუმცა მისი ნამუშევრები არა მხოლოდ საქართველოსა და საზღვარგარეთ კერძო კოლექციებში ინახება, არამედ საქართველოს ეროვნულ მუზეუმშიც. ალბათ, მო-

ვა დრო, როდესაც თბილისში გაიხსნება სივრცე ჩვენი თანამედროვე ხელოვნების წარმოსაჩენად და სადაც ჯიბსონ ხუნდაძის ფერწერა აუცილებლად დაიკავებს განსაკუთრებულ ადგილს.

სოფო კილასონია
გიო ალექსიშვილი

მაგთიკომის სტიპენდია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს

მაგთიკომი წლების განმავლობაში თანამშრომლობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან. ყოველწლიურად კომპანია საუკეთესო კურსდამთავრებულნიდან შესაფერის კანდიდატებს არჩევს და... ასახეობს. 2012 წლის ნოემბერში ტექნიკური უნივერსიტეტის 15 კურსდამთავრებული სპეციალური შერჩევის და ტესტირების საფუძველზე მაგთიკომის ცხელი ხაზის თანამშრომელი გახდა.

მაგთიკომმა ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების მე-2, მე-3 და მე-4 კურსის საუკეთესო 12 სტუდენტისთვის ყოველთვიური სტიპენდია დაანწესა. ახალგაზრდები მაღალი აკადემიური მოსწრებისა და რექტორატის რეკომენდაციის საფუძველზე შეირჩნენ.

პროექტი **მაგთიკომის სტიპენდია** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტების გამოვლენის მიზნით განხორციელდა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩატარდა.

მაგთიკომის სტიპენდიატების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 9 ნოემბერს გაიმართა. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების წარჩინებული სტუდენტები – მერი გოგოლაძე, მარიამ მკერვალი, თამარ ბინაძე, სანდრო მაისურაძე, გიორგი ფეტელავა, ანა კაკაბაძე, ზვიად ჯობავა, ია მუმლაძე, ქეთევან ცომაია, დავით ხაჩატურიანი, გიორგი ლაზაშვილი და თამარ ჟვანია მაგთიკომისგან ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობის სტიპენდიას მიიღებენ. მაგთიკომის ეს გადაწყვეტილება სტიპენდიატი სტუდენტებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა...

ანა კაკაბაძე, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი – დღეს მაგთიკომმა ჩემს მეგობრებსა და მე მართლაც სიურპრიზი დაგვახვედრა. ამ ორი ფაკულტეტის საუკეთესო

12 სტუდენტს 300 ლარიანი სტიპენდია დაგვენიშნა. იმედი მაქვს მაგთიკომის ამგვარი პროექტები მომავალშიც გაგრძელდება და ყველა სტუდენტს სწავლა, შრომა დაუფასდება.

გიორგი ფეტელავა, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი – პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს წელს ვამთავრებ. ჩემი „ვინრო“ სპეციალობა მობილური კავშირის სისტემებია. მაგთიკომმა სასიამოვნოდ გამოაცხადა და სწავლის, ჩემი სპეციალობის უკეთ დაუფლების მეტი სტიმული მომცა. დიდი მადლობა მაგთიკომს ჩვენი წახალისებისთვის.

თამარ ჟვანია, ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის



MagtiCom Scholarship for Students of the Georgian Technical University

MagtiCom has for many years maintained close cooperation with different higher education institutes in Georgia. The Company selects graduates, who have exhibited the highest level of academic achievement, and... recruits them each year. In November 2012, having successfully passed through a rigorous selection process, 15 graduates of the Technical University signed up with MagtiCom's hotline service.

MagtiCom has set up scholarships to encourage second-, third- and fourth-year students of the faculties of power engineering and telecommunications, informatics and control systems of the Georgian Technical University. Outstanding students will be awarded 300 lari per month based on academic achievement, and following the recommendation of the university administration.

Governed by the principles of Corporate Social Responsibility, the MagtiCom scholarship project is intended to

support high achievers of the Georgian Technical University.

The MagtiCom scholarship award ceremony took place at the Georgian Technical University, on 9 November. Mari Gogoladze, Mariam Mkervali, Tamar Bitsadze, Sandro Maisuradze, Giorgi Petelava, Ana Kakabadze, Zviad Jobava, Ia Mumladze, Ketevan Tsomaia, David Khachaturian, Giorgi Lazishvili and Tamar Zhvania were announced as winners. Each student will be offered 300 lari per month as a scholarship. MagtiCom's de-

We soon realized that our efforts would get us nowhere without providing training classes to improve performance skills. We embarked on studio work. In parallel, we trained two troupes, including young performers for shows targeting children.

Dostoevsky’s “The Idiot” was the first show to open for them a gateway to success. Paata and Irina both played their parts in it. Notwithstanding the brilliant success, rumblings of an artistic rift between Paata and Andrei soon became obvious. Goethe’s “Faust” featuring Paata as Mephistopheles proved to be their last joint project. The partners agreed to split up.

I founded Synetic Theatre as a subgroup of the Stanislavsky Theatre Studio.

Milton, a member of the Stanislavsky Theatre board of directors, who was already hot on our trail. She overtook us right on the road and offered me a sum of 100 000 dollars for setting up my own theatre. And why was Aina Milton driven to make this offer? Because she had seen our staging of Dostoevsky’s “The Idiot”, which led her to a decision to invest in us and become a member of the board.

The list of donors funding the Synetic Theatre’s activities include republicans and democrats, congressmen and senators and last, but not least, renowned lawyers.

That is how the Synetic Theatre set off on the big highway to success.

TAMAR BOKUCHAVA



მაგთი ფიქსთან ისაუბრეთ უფასოდ და ულიმიტოდ!

პაკეტი „ულიმიტო“ 7 ლარი

- უფასოდ და ულიმიტოდ საუბრობთ მაგთი ფიქსის აბონენტებთან;
- საქართველოს მობილური ქსელების აბონენტებთან - წუთი 15 თეთრი.

პაკეტი „ულიმიტო+“ 10 ლარი

- უფასოდ და ულიმიტოდ საუბრობთ მაგთი ფიქსის აბონენტებთან;
- ყოველთვა 30 უფასო წუთი საქართველოს მობილური ქსელების აბონენტებთან, რომელთა ამონურვის შემდეგ - წუთი 11 თეთრი.



დიდი მადლობა კომპანია მაგტიკომს და პირადად ბატონ გია ჯოხთაბერიძეს ასეთი საჩუქრისთვის.

ვიცი, რაოდენ საინტერესო, მრავალმხრივ და საჭირო საქმიანობას ეწევი ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, რაც ფასდაუღებელია ქართული კულტურისთვის.

გისურვებთ ხანგრძლივ, წარმატებულ საქმიანობას საქართველოს სასიკეთოდ.

პატივისცემით,
ელისა ვირსალაძე

„ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ!“ ამ სხარტი და ტევადი სლოგანის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს კომპანია მაგტიკომის მხარდაჭერით გამოცემული წიგნი-ალბომი „ელისო ვირსალაძე“, რომელიც ეძღვნება ამ დიდი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

წიგნის შექმნის იდეა კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრს (ხელმძღვა-

I really appreciate the great job MagtiCom and Gia Jokhtaberidze did to get me such a wonderful gift, which makes me feel even greater responsibility... I am well-informed about your concentrated, extensive and much-needed efforts that go into promoting Georgian art and which are invaluable for our culture. May all your plans find their way to success.

Sincerely,
ELISO VIRSALADZE

“We are Serving the Georgian Cause” - the compelling and resonant slogan MagtiCom has again lived up to by sponsoring the book-album “Eliso Virsaladze”, which was published to mark the 50-year career of the outstanding Georgian pianist and pedagogue.





The idea for the book came from the Classical Music Preservation, Development and Promotion Centre (headed by Tamar Lortkipanidze), which is credited with organizing the Telavi International Music Festival founded by Eliso Virsaladze. The presentation of the book took place on the sidelines of the Festival, on 18 October 2012.

It was the Centre that put forward to me, the author of these columns, an important proposal to create a book, which would be an attempt to explore Eliso Virsaladze's illustrious and eventful career spanning over 50 years.

The task before us was indeed challenging: to release a book that would do justice to Eliso Virsaladze's unique talent and great personality, and to make the book internationally available in three languages (Georgian-English-Russian). We leave it up to the reader to decide whether we have met the challenge.

From the very start I decided to avoid writing a pure panegyric eulogy. It was not an easy task given the scale and grandeur of Eliso Virsaladze's talent that has been the object of widespread acclaim and admiration for many years. One can still catch sentimental notes in the book, but the overall message is something beyond that.

I had a strong desire to create a lively, interesting, inspiring, meaningful and thought-provoking book that would usher readers into Eliso Virsaladze's world and acquaint them with her standpoints, appreciations, criteria, aesthetic approaches and cherished moral values.

In turning our desire into reality we were assisted by Eliso Virsaladze herself, though we had no contact with her in the process of our work – the book came as a sheer surprise to her. What we mean by being assisted are Eliso Virsaladze's letters and interviews published at different times that made their way into our book, along with many other articles dedicated to the famous musician.

I would say with pleasure, that Eliso Virsaladze is a musician with a gift for writing. All her letters and interviews make wonderful reading and reflect

ნელი თამარ ლორთქიფანიძე) ეკუთვნის, რომელიც წარმატებით უძღვება ელისო ვირსალაძის მიერ დაარსებულ თელავის მუსიკალურ ფესტივალს. წინანდალში, ფესტივალის დღეებშივე შედგა ამ წიგნის პრეზენტაცია.

სწორედ აღნიშნული ცენტრიდან მივიღე ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო შემოთავაზება მემუშავა წიგნზე, რომელიც მკითხველს გააცნობდა ელისო ვირსალაძის დაძაბული და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან გზას.

თავიდანვე გავაცნობიერე ამოცანის სირთულე: უნდა შექმნილიყო ამ უდიდესი მუსიკოსისა და პიროვნების საკადრისი წიგნი, რომელიც სამ ენაზე (ქართულ-ინგლისურ-რუსული) გამოცემულიყო და გასულიყო საერთაშორისო ასპარეზზე. მკითხველმა განსაჯოს, თუ რამდენად მივალნიე მიზანს.



თავიდანვე მივიღე გადაწყვეტილება: ეს წიგნი შორს უნდა მდგარიყო სახობო ჟანრის ლიტერატურისაგან, რისი მიღწევაც არ არის ადვილი, როცა საქმე ეხება ისეთი მაღალი დონისა და მასშტაბის არტისტს, როგორცაა ელისო ვირსალაძე, რომელიც ათეული წლების მანძილზე წარმოადგენს საყოველთაო აღტაცებისა და აღფრთოვანების ობიექტს. რა თქმა უნდა, წიგნშიც იგრძნობა ეს ემოცია, მაგრამ ეს არ განსაზღვრავს მის პათოსს.

მსურდა შექმნილიყო ცოცხალი, საინტერესო, შინაარსიანი, დამაფიქრებელი და გარკვეულწილად პრობლემური წიგნი, რომელიც მკითხველს შეიყვანდა ელისო ვირსალაძის სამყაროში, გააცნობდა მის პიროვნებას – შეხედულებებს, შეფასებებს, პოზიციებსა და კრიტიკიუმებს, ესთეტიკურ ხედვასა და ზნეობრივ ფასეულობებს.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში დამეხმარა თვით ელისო ვირსალაძე, მიუხედავად იმისა, რომ მასთან არავითარი კავშირი არ მქონდა მუშაობის პროცესში. მისთვის ეს წიგნი სიურპრიზი იყო. დახმარება კი გაგვინა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულმა ელისო ვირსალაძის წერილებმა და ინტერვიუებმა, რომელიც წიგნში შესულია ამ სახელოვან ხელოვანზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებთან ერთად.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ელისო ვირსალაძე შესანიშნავად წერს. იგი მწერლური ტალანტითაც დაჯილდოებული მუსიკოსია. მისი წერილებიდან და ინტერვიუებიდან თვალნათლივ ჩანს მაღალი სულიერება და ინტელექტი, დიდი ადამიანური ბუნება და მარ-



თალი, პირუთენელი ხასიათი. ამაშია ამ წიგნის ღირსება.

დაბოლოს, დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ჩემს პარტნიორებს: ცნობილ დიზაინერს ბესიკ დანელიას და პროექტის მენეჯერს ნინო ახვლედიანს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ფართოდ ილუსტრირებული და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული წიგნი-ალბომის გამოცემაში.

მანანა ახმეტელი
წიგნის შემდგენელი და რედაქტორი

her spiritual insights and keen intellect, benevolence of her character and the force of her personality that combine to make the book worth the effort.

And finally, I am very grateful to my partners – famous designer Besik Danelia and project manager Nino Akhvediani and sincerely appreciate their contribution and hard work that went into publishing this high-quality and richly illustrated book-album.

MANANA AKHMETELI
Book compiler and editor



ჩვენი ბენი

ტარიფის ჩართვა:
***210 OK**



ბანიდან ბანზე ისაუბრეთ
დღეში 3.5 საათი - წუთში 0 თეთრად
ზარის წამოწყება - **0 თეთრი**
ტარიფის ჩართვა - **0 თეთრი**

დღიური ლიმიტის ამოწურვის შემდეგ წუთი - 1 თეთრი; სხვა ქსელებთან საუბარი - წუთი 15 თეთრი
ტარიფით სარგებლობის ღირებულება - დღეში 25 თეთრი

მაგთიკომის ვიდეოკონკურსის გამარჯვებულები



Facebook-ის მაგთიკომის გვერდებს 164 000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. ისინი აქ სიახლეებსა და აქტუალურ ინფორმაციას ეცნობიან, ინტერაქტიულ რეჟიმში ურთიერთობენ კომპანიის წარმომადგენლებთან და მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებს იღებენ. გარდა ამისა Facebook-ის მაგთიკომის გვერდებზე პერიოდულად სხვადასხვა სახის კონკურსები და ვიქტორინები ცხადდება.

2012 წლის სექტემბრის დასაწყისში Facebook-ის მაგთიფანის გვერდზე ვიდეოკონკურსი „ჩემი არდადეგები“ გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. ამისთვის კი მას სათანადო აპლიკაციაში მისივე გადაღებული, კონკურსის თემატიკის შესაბამისი, ვიდეორგოლი უნდა აეტვირთა.

ვიდეოკონკურსში მონაწილეობა 84-მა მსურველმა მიიღო.

Facebook-ის მაგთიფანის გვერდზე გამოცხადებული ვიდეოკონკურსის გამარჯვებულები 2012 წლის 17 ოქტომბერს მაგთი კლუბში მაგთიკომის პრეზიდენტმა დევიდ ლიმ დააჯილდოვა.

Facebook-ის მაგთიფანის გვერდის მომხმარებლების მიერ გამოვლენილი საუკეთესო ვიდეორგოლის ავტორი და Samsung GALAXY S III-ის მფლობელი თბილისის 122-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, 16 წლის ზვიად ჯღარკავა გახდა, ხოლო Samsung GALAXY Note მაგთიკომის თანამშრომელთა მიერ შერჩეული ვიდეორგოლის ავტორს, „მაგთიკომის სიმპათიას“, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს გივი მალრაძეს გადაეცა.

FACEBOOK-ის შეიქმნელმა მარკ ზუკერბერგმა რამდენიმე თვის წინ მსოფლიოს აუწყა, რომ ამ სოსილური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა 1 000 000 000 გადააჭარბა. დასმარო მილიარდზე მეტ ადამიანს ურთიერთობის დაწყებაში უძლიერი ბედნიერებაა და ამით ვაგაყობ – თქვა 27 წლის მილიარდობა. – ყოველდღე მუხლმარსრულად ვშრომობ, რათა FACEBOOK-ი უფრო მეტად დაიხვეწოს, უკეთესი გახდეს და, იმედოვნებ, დადგება დღე და ჩვენ მთელი მსოფლიო შეიმოხვიართლება.



facebook
**MAGTICOM'S VIDEO
CONTEST WINNERS**

MARK ZUCKERBERG, THE FOUNDER OF FACEBOOK ANNOUNCED A FEW MONTHS AGO THAT THE NUMBER OF FB USERS EXCEEDED 1 000 000 000. "HELPING A BILLION PEOPLE CONNECT IS AMAZING, AND BY FAR THE THING I AM MOST PROUD OF IN MY LIFE" – SAID THE 27-YEAR-OLD BILLIONAIRE - "I AM COMMITTED TO WORKING EVERY DAY TO MAKE FACEBOOK BETTER, AND HOPEFULLY TOGETHER ONE DAY WE WILL BE ABLE TO CONNECT THE REST OF THE WORLD TOO".



MagtiCom's Facebook page has over 164 000 users. They keep checking out the FB page to get the latest and important updates. In addition, users with questions can directly contact Company staff and get answers from the best resource. Most importantly, MagtiCom's Facebook page regularly hosts a great variety of quizzes and contests.



The MagtiFun webpage on Facebook launched a video contest "My Holidays" in early September 2012. Any interested person could enter the contest by uploading a holiday season video for a chance to win.

The video contest attracted 84 contestants.


Contest winners were invited to MagtiClub on 17 October 2012 and awarded prizes by MagtiCom's President David Lee.

Zviad Jgarkava, 16, who attends Tbilisi school N122, took home a Samsung GALAXY S III as the prize for the best video, based on votes from MagtiFun's webpage users. A Samsung GALAXY Note went to Givi Magradze, a fourth-year student at the computer science faculty of the Tbilisi Ivane Javakhishvili State University, who won MagtiCom's Choice Award.





ჩვენ უხედიბურად
უჩრჩი ბედი!



მოსწავლათა და სტუდენტთა კლუბი

განვირინდით მოსწავლათა ან სტუდენტთა კლუბში
და ყოველთვე საჩუქრად მიიღეთ
30 წუთი და 30 SMS

კლუბში განვირინება შეუძლია საქართველოს ყველა სტუდენტსა და მოსწავლეს.
მობრძანდით მაგთიკომის ნებისმიერ ოფისში, განვირინება უფასოა.



მბრძნობიარე სამკაული

SENSUAL ADORNMENT

სპარსულად „ბედნიერი ქვა“, ბერძნულად „ლამაზი ქვა“, არაბულად „გამარჯვების სიმბოლო“ ძვირფას ქვას და სამკაულს – ფირუზს ნიშნავს. ფირუზი დეკორატიული ქვაა. ევროპაში ის ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში გახდა ცნობილი. სახელწოდება არაბული „ფირუზა“-სგან წარმოდგება, რაც გამარჯვებულს ნიშნავს. ფირუზს ფოსფატის კლასს მიაკუთვნიან. ის ფოსფორმჟავას აბაქტივის დაშლით წარმოიქმნება, სპილენძი კი მისი მადნებიდან გამოიყოფა. სწორედ ამ უკანასკნელის შემცველობა განსაზღვრავს მის ფერს.

ფირუზისფერი ცისფერსა და მომწვანოს შორის ვარიირებს. იგი გაუმჭვირვალეა, ბრწყინვალეა ცვილისე-



Named “lucky stone” by the Persians, prized as “beautiful stone” in Greece and meaning “victory” in Arabic, turquoise is a decorative stone, which originally made its way to Europe during the crusades. The gem derives its name from the Arabic word “Firouzeh”. Turquoise is a phosphate mineral. It is formed through phosphoric acid decomposition. Turquoise gets its colour from the presence of copper in it.

Turquoise is opaque and has a waxy lustre. Its colour falls somewhere between blue and green. It is essential to keep turquoise away from fats, oils, cosmetics or soap as they can leave dark stains on the gem.

Turquoise is a capricious mineral. Its colour, as it advances in age, changes from

ბური აქვს, მასზე არ გამოიყენება გამსხნელები – ზეთები, ცხიმები, კოსმეტიკა, საპონი. მათი ზემოქმედებით ფირუზი შესაძლოა დალაქავდეს.

ფირუზი კაპრიზული ქვაა. ახალგაზრდა ფირუზი თეთრია, შემდეგ – ცისფერი, სიბერეში კი – მწვანე. თეთრ ფირუზს დიდი ენერგეტიკული პოტენციალი აქვს. ცისფერი ფირუზი კი ემოციებს აწონასწორებს. სწეულ ადამიანთან შეხებისას ფირუზი ხშირად ავადდება, ბერდება და კვდება.

ფირუზი წარმოიქმნება დანალექ ქანებში. მისი საბადოებია ეგვიპტეში, ჩინეთში, ყაზახეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, ავღანეთში, აშშ-ში, ავსტრალიაში, ისრაელში, სომხეთში. მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი საბადო ირანშია – ხორასანში. ირანული ფირუზი განსაკუთრებით ფასობს.

ფირუზს თილისმად იყენებენ და ერთგული, უღალატო სიყვარულის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ითვლება, რომ ის ადამიანებს გრძნობების გამოვლენაში ეხმარება, ბედნიერება მოაქვს და პარტნიორების ჰარმონიულ თანაცხოვრებას უწყობს ხელს.

გადმოცემით, თუ ქალს რჩეული მამაკაცის ყურადღების მიპყრობა სურდა, მის ტანსაცმელში, შეუმჩნეველად,

white to blue to green. White turquoise is a great booster of energy, while blue turquoise has a soothing effect on emotions.

Turquoise commonly occurs in sedimentary rocks in Egypt, China, Kazakhstan, Turkmenistan, Uzbekistan, Afghanistan, the United States, Australia, Israel and Armenia. The world's finest-quality turquoise comes from the Khorasan Province of Iran.

Turquoise is a lucky talisman and a symbol of fidelity and constancy in love. It helps people express their feelings, and can foster happy and harmonious relationships between partners.

Legend has it that lonely women used to sew small pieces of turquoise in the clothes of men, secretly, to win their hearts... Turquoise is traditionally associated with the 18th anniversary of marriage.

The practice of carving human faces and animal figurines on turquoise rings arose in ancient times. Turquoise was sometimes made into cult figures intended to convey the presence of God for warriors.

Being a powerful symbol of love and fidelity, turquoise also serves as an early pointer to disease. It fades and dies if worn by a sick person and regains its previous shine and colour with someone who is healthy. Turquoise is an excellent enhancer of energy. It is a natural remedy





for improving memory and restoring worn out nerves.

Experts recommend pairing turquoise with gold, as silver inhibits its curative virtues. Looking at turquoise every morning offers an effective way to improve vision. Turquoise is the birthstone for the December-born, blessing them with success in whatever they do.

Turquoise is held in high esteem in the astrological fraternity as well. Seeing turquoise in a dream foretells that one's desires will be happily realized. Dreaming of a woman parading turquoise jewelry means that she will meet vexations and crosses in love.

Turquoise used to be a popular jewelry choice for adorning icons, crosses, mitres and other church items in Georgia throughout the Middle Ages.

Turquoise graces the Metropolitan Cross of Martvili, the Tabernacle, the Virgin Icon of Khobi (X-XI centuries), the folding golden Icon of the Saviour and the Cross of the Martyrs. A vast selection of jewelry belonging to Queen Mariam and to Erekle I's consort was also inset with turquoise.

მცირე ზომის ფირუზის ნატეხი უნდა ჩაეკერებინა.

ქორწინების 18 წლისთავს ფირუზის ქორწილს ეძახიან.

ძველად ფირუზისთვლიან ბეჭდებზე ადამიანის და ცხოველების გამოსახულებას კვეთდნენ. მისგან ღმერთების გამოსახულებით პატარა საკულტო ფიგურებსაც ამზადებდნენ, რომლებიც ძირითადად, მეომრებისთვის იყო განკუთვნილი.

ფირუზის ქვას, ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლოს გარდა, ჯანმრთელობის ინდიკატორსაც უწოდებენ. ავადმყოფობის დროს ფირუზისთვის დამახასიათებელია ფერის შეცვლა, გაფერმკრთალება. ადამიანის გამოჯანმრთელებისთანავე ფირუზი იბრუნებს ნათელ და მკვეთრ ფერს, აძლიერებს პიროვნების შინაგან ენერჯის, ეხმარება მეხსიერების განვითარებაში, მყარი ფსიქიკის შენარჩუნებაში.

მეცნიერები ფირუზის ოქროს ბუდით ტარებას გვირჩევენ, რადგან ვერცხლი მის სამკურნალო თვისებებს ბოჭავს. სპეციალისტები განმარტავენ, რომ ყოველ დღით ფირუზის ცქერა მხედველობას აუმჯობესებს.

ამბობენ, ამ ქვის ტარება დეკემბერში დაბადებულთათვის განსაკუთრებით სასარგებლოა.





ფირუზს მნიშვნელობას ასტროლოგებიც ანიჭებენ. მიიჩნევა, რომ სიზმარში ფირუზის ხილვა სანუკვარი ოცნების ასრულების მომასწავებელია, ხოლო თუ სიზმარში ქალი ფირუზებითაა მორთული, მას სიყვარულში იმედგაცრუება ან წინააღმდეგობები შეხვდება.

შუა საუკუნეების საქართველოში ფირუზი ერთ-ერთი გავრცელებული ძვირფასი ქვა იყო. ის თითქმის ყოველთვის გამოიყენებოდა საეკლესიო ინვენტარის – ხატების, ჯვრების, მიტრების შესამკობად.

X ს. მარტვილის სამღვდელთმთავრო ჯვარი და ოქროს საწინილე ფირუზითაა შემკული. ეს ქვა ამკობს ხობის X-XI სს. ღვთისმშობლის ხატს, მაცხოვრის დასაკეც ოქროს ხატს, მონაშეთსა საწინამძღვრო ჯვარს და ა.შ. ცნობილია, რომ მარიამ დედოფლის და ერეკლე პირველის მეუღლის სამკაულების დიდი ნაწილი ფირუზის ქვებით იყო შემკული.

ჯერჯერობით უცნობია რა ადგილს დაიკავებს ფირუზის სამკაული ახალი, 2013 წლის მოდის ტენდენციებში. თუმცა, ლონდონის მოდის კვირეულზე Jean-Pierre Braganza-ს



2013 წლის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციის ჩვენებისას, ეგვიპტური ტრადიციების თემატიკაზე შექმნილ ყელსაბამებზე ფირუზის თვლები ჭარბობდა და მოდელთა მაკიაჟიც ფირუზის ფერში იყო გადანყვებილი.



მარტვილი, სამღვდელთმთავრო გულსაკიდი ჯვარი. X ს. Reliquary cross of Martvili. X c.

No one knows whether turquoise will become the height of fashion in 2013. The fact, however, is that Jean-Pierre Braganza's spring/summer 2013 collection at London Fashion Week this season was packed with Egyptian-inspired pieces of turquoise jewelry. Bold shades of turquoise were incorporated into cosmetic makeup as well.



ცვილით გაპრიალებული იატაკის სუნი, ერთმანეთში შეზავებული მდულარე თაფლის, დარიჩინისა და ვანილის არომატი, გაყინული ფანჯრების ტირილი და ბნელი საკუჭნაოს ბოლო თაროზე შემოდებული ჯადოსნობის განჯადობის მოლოდინი – ეს არის ჩემი პირველი შეხება ახალი წლის ღამესთან. არ მახსოვს რამდენი წლის ვიყავი, მაგრამ ზუსტად მახსოვს პერგამენტის შრაშუნი, როდესაც ბებია, მისი ბავშვობის დროინდელ შუშის ბურთებს იღებდა ყუთიდან. დიახ, შუშის, რომელიც იყო მყიფე და სიფრთხილი და აქა-იქ შერჩენილი კრისტალებით ბზინავდა. ბურთების ასაკისვე იყო ცალი ხელით ინვალდი თოვლის ბაბუა, რომელსაც ის ხელი „მარლით“ გადავუხვიე და კისერზე ჩამოვკიდე.

სათამაშოები ნაძვის ხეზე ძალიან

ფრთხილად უნდა დაგვეკიდა. აკი მოგახსენეთ, მილიმეტრი სისქის შუშის ბურთები, დავარდნა იქით იყოს, თითებში შემოგეფშენებოდნენ, ცოტა ძლიერად რომ მოგეჭირა ხელი.

ახლა ყველაფერი გაცილებით იოლია. არამსხვერველმა სათამაშოებმა უკან ჩამოიტოვა სიმყიფის ხანა და მასთან დაკავშირებული მოწინება და აღტაცებაშეზავებული სიფრთხილეც. მასთან კი, პირადად ჩემთვის, ის ბოლომდე გაუცნობიერებელი განცდა, რომ ზუსტად ამ მსხვერველობაშია ახალი წლის ჯადოქრობის საიდუმლო.

ერთი ზანზალაკი და სამიოდე გაცრეცილსადებავიანი ბურთი კვლავ შენახულია ბოლო თაროზე. ოღონდ მათ, წელიწადში ერთხელ, პერგამენტს შემოვაცლით, შევხედავთ... და ისევ ყუთში ჩავაბრუნებთ. მათი ეპოქა დასრულდა,

The scent of wax polish on the floor, the haunting blend of boiling honey, cinnamon and vanilla, weeping windows and the impatience to unravel the mystery resting on the uppermost shelf in a dark pantry – that’s what I remember about my first encounter with the New Year. I can’t say exactly how old I was then, but I can still hear the rustling of oilpaper as my grandma tried to unwrap glass balls, which were as old as she was. Yes, the balls were made of flimsy and delicate glass with glowing crystals beginning to fade and go out. An equally old snowman with a crippled arm had a sling applied by me so he could still be hung to one side.

We had to be very careful when hanging toys on a fir tree. We ran the risk of crushing these millimeter-thin balls just by holding them too hard or squeezing too tightly,

თუმცა საინტერესოა, საიდან დაიწყო ეს ყოველივე?

როგორც ამ საკითხის განდობილები ვარაუდობენ, დასაბამი პრეისტორიულ ხანაში უნდა ვეძიოთ და ის სამყაროს, როგორც ერთიანი სიცოცხლის ხის სტრუქტურირებაში იღებს სათავეს. აქედან წარმოიქმნება ხეების კულტი, რომლის ნიშნებს სრულად სხვადასხვა არეალის ნივთიერ კულტურებში შეგვიძლია მივაკვლიოთ. გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მიხედვით, თავყვანისცემის ობიექტები სხვადასხვა ხე ხდება. ესენია მუზა, ფიჭვი, კვიპაროსი, ევკალიპტი და ა.შ. ძველ საბერძნეთში წმინდა ხედ ითვლებოდა კვიპაროსი, რომში თავყვანს სცემდნენ ლედვის ხეს და შვინდს, რომელიც პალანტინის ბორცვს უხვად ფარავდა. საქართველოში, როგორც ვიცით, ჩიჩილაკს, იგივე საკულტო ხეს, თხილისგან ამზადებდნენ, სვანეთში კი ტირიფის ტოტებს თლიდნენ.

თუმცა გამობატულად ჩვენამდე მოღწეული ხეთა თავყვანისცემის ტრადიცი-

not to mention dropping them.

Things are so much easier now. Toys have long outgrown the era of fragility and the associated attitude of awe and amazement and, for me personally, the unexplained sense of untouchability – exactly what shrouds the New Year nights in mystery.

One hand-bell and three faded balls are still gathering dust on the uppermost shelf. We reach for them only once a year, unwrap them, glance admiringly and then put them back into the box. Their purpose has long been served. But where do they come from?

Experts say their origins can be traced back to the pre-historic era. More concretely, they derive their roots from the Tree of Life so ever-present in sacred traditions that it has become a symbol of the world. Tree cults were invested in all cultures. Objects of worship, however, varied depending on geographical and climatic differences, and



ას დრუიდებთან, კელტების ღვთისმსახურებთან მივყავართ. კელტებს სწამდათ, რომ ხეებში სულები ცოცხლობენ და მათ ზედს განკარგავენ. ამიტომაც საჭიროა მათი კეთილგანწყობის დამსახურება მსხვერპლშენივრის გზით. მთავარ „წმინდა ხეს“, რომელიც, როგორც ირკვევა, ვაშლის ხე იყო, რთავდნენ და მის ირგვლივ რიტუალურ ზეიმს აწყობდნენ. მოგვიანებით ვაშლის ხე მარადმწვანე ნაძვმა შეცვალა, სავარაუდოდ იმ მიზეზით, რომ სეზონური ცვლილება მას არ ეხება. სწორედ ეს კელტური ტრადიცია დაედო საფუძვლად ევროპაში საახალწლო რიტუალური ხის ზეიმს.

საზეიმო ხის პირველი მოსართავეები შესაქმელად იყო განკუთვნილი. ეს იყო ვაშლები, თხილი, კვერცხი, კართოფილი, სტაფილო, შაქრის ნატეხები, ნამცხვრები. თვითოეულ სიმბოლურ დატვირთვა ქონდა. ასე ვაშლი უხვი მოსავლის სიმბოლო იყო, კვერცხი - მარადიულად განახლებადი სიცოცხლის, თხილი ღვთის განგებას ასახავდა, ნამცხვარი - ღვთის კურთხევას. ვაშლები ფერადი საღებავებით იღებებოდა, სხვა მოსართავეებს ფერად ჭინჭებში ახვევდნენ. ახალი წლის ღამეს „სათამაშოებს“ მიერთებდნენ, ხოლო ჭინჭები კი ეკიდა, ვინაიდან ასე მორთულ ნაძვის ხეს ქონდა ბოროტი სულების განდევნის ძალა, ხოლო ვაშლებით მორთულ ტოტებს კიდებდნენ შესასვლელ კარებზე, ასევე ავი ძალების მოსაგერიებლად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვაშლებს წამყვანი როლი ენიჭებოდათ ნაძვის ხის მორთვის რიტუალში. შემოდგომაზე, მოსავლის აღების დროს, არჩევდნენ ყველაზე ლამაზ, ლოყანი-თელ ვაშლებს, და ზამთრის დადგომამდე სათუთად ინახავდნენ. ადვილი



ნარმოსადგენია თუ რა მომხიბვლელად გამოიყურებოდა მუქი მწვანე ნაძვის ტოტებზე ყვითელ-წითელი მკვრივი და სურნელოვანი ხილი.

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ 1513 წლის დამდეგს, ევროპული ეკლესიის რეფორმატორი მარტინ ლუთერი შინ ბრუნდებოდა და უცებ ყინვაში აკიაფებული ვარსკვლავებით მოხიბლული შედგა. ის დიდხანს აკვირდებოდა ცას და მერე სახლში მისულმა, ტრადიციული საახალწლო ნაძვის ხეზე სან-

included oaks, pines, cypresses, eucalyptus trees and others. The cypress was the tree most sacred to the ancient Greeks. The Romans worshipped the fig tree and the cornel tree that grew on the slope of the Palatine Hill. The nut tree (in the shape of *Chichilaki*) earned itself cult status in Georgia, and the willow tree - in Svaneti.

The Celtic Druids were, however, the first to embrace the practice of tree worship. They believed the interior of a tree was the abode of dead souls mighty enough to control their destinies. The only way to win their favour was by offering sacrifices and performing rituals. The apple tree, considered the holiest of all trees, was decorated amid flamboyant ritual celebrations. Later the apple tree was replaced by the evergreen fir tree because of its ability to resist seasonal changes. The Celtic veneration of trees laid the groundwork for the New Year tree traditions.

The first Christmas trees in Europe were decorated with edible things such as apples, nuts, eggs, potatoes, carrots, candies, cakes... each ornament was loaded with symbolic significance. The apple, for example, symbolized a bountiful harvest, the egg - eternal life, the nut - divine guidance, the cake - God's blessing. Apples were painted in different colours, other decorations - wrapped in colourful tinsels. All edible toys were eaten over the New Year night. Tinsels remained for driving away evil spirits, as did branches adorned with apples, which hang on entrance doors.

Apples were the highlight of fir tree decorations. Harvested in autumn, they were kept with utmost care specifically for winter. Wonderfully fragrant, shiny and yellowish-red in colour, they stood out beautifully against the green lushness of fir branches.



თლები დაამაგრა, ხოლო კენწეროში ვარსკვლავი დადგა, რომელიც ბეთლემში დაბადებული ქრისტესკენ გზის გამკვალავი ვარსკვლავის სიმბოლოდ იქცა. ასე გარდაიქმნა გერმანიაში ნარმართული დღესასწაული ქრისტიანულ ტრადიციად.

თუმცა ხეების მორთვა ხილითა და სხვადასხვა ნუგბარით არავის დაეინყებია და ერთხელაც ლოტარინგიას უმოსავლო 1848 წელი დაუდგა. ვაშლების არათუ ხეზე ჩამოკიდება, არამედ სუფრაზე მიტანაც კი გაჭირდა და ამ თითქოსდა უიმედო სიტუაციიდან გამოსავალი ქალაქ ლაუშის შუშის ოსტატებმა იპოვეს: მათ შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში პირველი შუშის „ვაშლები“ და

ნაძვის ხის ხელოვნური ხილით მორთვის ტრადიციას დაუდეს დასაბამი. ფერადი შუშისგან დამზადებულმა ხილმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა და ლოტარინგიის ოსტატებმა მთელ ევროპაში გაითქვეს სახელი. ზოგიერთ ქვეყანაში ბრძანებაც კი გამოიცა, რომლის თანახმად ნაძვის ხეები ლაუშში დამზადებული ოქროსფერი და ვერცხლისფერი ბურთებით



Legend has it that in 1513 Martin Luther, the great reformer, while walking home through the woods paused for a moment to gaze at the star-pricked sky in reverent meditation. Inspired by the sight, he came home to decorate his Christmas tree with small candles and a star atop, which became the symbol of the Star from Heaven leading the Wise Men to worship Jesus in Bethlehem. Thus, the pagan tradition gradually gave way to a Christian ritual.

Fruit and sweets remained central motifs in Christmas tree decorations, and continued to do so until 1848, a time of poor harvests in the Lorraine region of Germany, when the apple became highly sought-after even as a fruit. Craftsmen

from Lauscha worked out a solution to this problem by creating the first-ever glass apples in the history of mankind and starting a new trend of artificial decorations, which soon became wildly popular in Europe. The craftsmen rose to fame and fortune, and some governments even went so far as to issue decrees ordering that Christmas trees be embellished with Lauscha-made gold and silver balls, instead of fruit toys. With the passage of time, the craftsmen from Lauscha made glassblowing a fine art. Their ornaments came in a wide variety of colours, shapes and sizes. Appreciation of German Christmas toys heightened throughout the world.

Baubels produced in Lauscha were outrageously expensive. Hence, they did not completely replace homemade toys and the tradition of offering sweets to tree deities.

Bells too were the traditional centerpiece of the Christmas season. Their sound was believed to ward off evil spirits, purify the air and even eradicate the plague.

Christmas in Europe of the Middle Ages was a time to indulge in creative decorations of dried flowers, which, due to their healing properties, were



უნდა მოერთოთ და არა უბრალო ხილით. დროთა განმავლობაში ნიჭიერმა ოსტატებმა ისწავლეს არამარტო ბურთების გამობერვა, არამედ სხვადასხვა ზომის და ფორმის სათამაშოების დამზადებაც, ხოლო გერმანულმა საახალწლო სათამაშოებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

თუმცა მრავალი წლის მანძილზე ლოტარინგიელ ოსტატთა ნახელავს ცეცხლის ფასი ჰქონდა და ცოტას თუ შეეძლო მათი ყიდვა. ამიტომაც სახლში სათამაშოების დამზადების ტრადიცია და ასევე სხვადასხვა ტკბილეულით ხის სულეების მოთაფლვა არსად წასულა და დაკარგულა.

ბურთების გარდა გავრცელებული და პოპულარული სათამაშო ზანზალაკი იყო. წარმართობიდან მოყოლებული, ზანზალაკს ავი სულეებისგან დაცვის საუკეთესო საშუალებად აღიარებდნენ. წკრიალა ხმით ის იცავდა სახლს და, ზოგიერთის აზრით, ჰაერსაც კი ასუფთავებდა ასე საშიში შავი ჭირის ვირუსისგან.

ასევე აღსანიშნავია ნაძვის ხის ყვავილებით მორთვის გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპული ტრადიცია. ყვავილები, ბუნებრივია, გამხმარი იყო, და ვინაიდან შუა საუკუნეებში მათ სამკურნალოდ იყენებდნენ, მათ ხეზე დამაგრებას ასევე ავი სულეებისგან დაცვის და ჯანმრთელობის მთელი წლით უზრუნველყოფის დატვირთვა ჰქონდა.

ქრისტიანულ კულტს ეკუთვნის ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებული წითელი ბაფთებით მორთული გვირგვინები, რომლებსაც კარებზე კიდებენ. ის მაცხოვრის



დაბადების სიმბოლოა და ახალი წლის დადგომასთან ერთად ახალი ჟამის დადგომას აუწყებს მორწმუნეებს.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გერმანიას საახალწლო სათამაშოების დამზადების პირველობა ჩამოართვეს. ახალი ტექნოლოგიებისა და მასალების გამოგონების შემდეგ, სათამაშოების წარმოება მასობრივ ინდუსტრიად იქცა. ტრადიციული ბურთებისა და ზანზალაკების გვერდით გაჩნდნენ სხვადასხვა ზღაპრების პერსონაჟები, ფრინველები, ცხოველები, ხელოვნური ტკბილეულობა და მრავალი სხვა მყარი, არამსხვრევადი და, ამიტომ, მრავალჯერადი მოხმარების სათამაშო, რომელიც ხელმისაწვდომია. თუმცა, მე თუ მკითხავთ, მოკლებულია იმ მისტიურ სულს, რომელიც ჯერ კიდევ არის ჩემი სახლის საკუჭნაოს ბოლო თაროზე შემოდებულ გაყვითლებულ პერგამენტში გახვეულ ყვითელი შუშის ვაშლებში.

thought to protect against evil spirits and to invite good health.

A wreath graced with red ribbons has proved to be an enduring Christian icon in Europe and in the United States. It is hung on the door as a powerful symbol of the Nativity, in joyful anticipation of the New Year and the advent of a new age.

After the end of the First World War, Great Britain and the United States took over from Germany as the leaders of the Christmas decoration industry. The development of new technologies allowed the mass production of toys. Alongside time-honoured balls and bells, shops today display a sprawling selection of fairytale characters, birds, animals, artificial candies and many other solid and rugged toys designed for long-term use. They are accessible to all but scarcely contain the enigma, which is so keenly felt in yellow glass apples wrapped in oilpaper and left to gather dust on the uppermost shelf in the dark pantry of my house.



ირა ჭილიძე

IRA CHELIDZE



საჯატი
MAGTISAT

საჯატი



საჯატი
MAGTISAT



საჯატი

www.magticom.ge

საჯატი

